# ს/ს კორ სტანდარტ ბანკი

## საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებით შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებანი და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა

**31** დეკემბერი **2009**

# შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ....1
აღიარებული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება ....2
ნაერთი ანგარიშგება კაპიტალში განხორციელებულ ცვლილებებზე....3
ფულადი სახსრების მიმოქცევის კონსოლიდირებული ანგარიშგება ....4

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმართ

1 შესავალი....5
2 ბანკის სამუშაო გარემო ....5
3 სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა....5
4 სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები....12
5 ახალი ან გადამოწმებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება....13
6 ახალი სააღრიცხვო განცხადებები....15
7 ფული და ფულადი ეკვივალენტები ....18
8 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები....18
9 საინვესტიციო საკუთრება....23
10 გუდვილი....23
11 შენობები, მოწყობილობა და არამატერიალური აქტივები....24
12 სხვა ფინანსური აქტივები, მათ შორის ანგარიშები აქციონერებისგან ....25
13 სხვა აქტივები ....26
14 ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ....26
15 კლიენტთა ანგარიშები....26
16 სხვა ფინანსური ვალდებულებები....27
17 სხვა ვალდებულებები....27
18 სუბორდინირებული ვალი....28
19 სააქციო კაპიტალი ....28
20 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები....28
21 საკომისიო შემოსავალი და ხარჯები....29
22 სხვა საოპერაციო შემოსავალი....29
23 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები....29
24 საშემოსავლო გადასახადები ....30
25 ფინანსური რისკის მართვა ....31
26 კაპიტალის მართვა....37
27 გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები ....37
28 ფინანსური დოკუმენტების სამართლიანი ღირებულება ....38
29 ფინანსური დოკუმენტების პრეზენტაცია კატეგორიების მიხედვით ....39
30 დაკავშირებულ მხარეთა ტრანსაქციები....40
31 შემდგომი მოვლენები ....40

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს კორ სტანდარტ ბანკის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

1 ჩვენ ჩავატარეთ სს კორ სტანდარტბაკის და მისი შვილობილი კომპანიის ("ჯგუფი") თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. კერძოდ კი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგების, მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტი ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი შენიშვნების მიმოხილვა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2 ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ასეთი პასუხისმგებლობა გულისხმობს უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენის მიზნით შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას და ისეთი სააღრიცხვო შეფასებების შემუშავებას, რომლებიც მისაღებია კონკრეტული ვითარებისთვის.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

3 ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. აღნიშნული სტანდარტებით სავალდებულოა ეთიკური ნორმების დაცვა, ასევე აუდიტის იმგვარად დაგეგმვა და ჩატარება, რათა უზრუნველყოფილ იქნას გარანტია, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობას.

4 აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამიზნულია მტკიცებულების მოპოვებაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხებისა და მონაცემების თაობაზე. შერჩეული მეთოდიკა დამოკიდებულია აუდიტორთა მოსაზრებაზე, მათ შორის, არსებითი უზუსტობის რისკის შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიედ თუ განზრახ. იმისათვის, რომ შეიმუშაოს ვითარებისა და გარემოების შესატყვისი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ მექანიზმებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემოწმებას, ისევე როგორც მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

5 დარწმუნებულნი ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული რწმუნება საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნის წარდგენისათვის.

*დასკვნა*

6 ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2009 წლის 31 დეკემბრისათვის, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2010წლის 3 ივნისი
ქ. თბილისი, საქართველო

# დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

| ათას ლარებში | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2009 | 31 დეკემბერი 2008 |
|---|---|---|---|
| აქტივები | | | |
| ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები | 7 | 33,515 | 37,820 |
| სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში | | 6,363 | 4,941 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 8 | 137,153 | 84,728 |
| საინვესტიციო ქონება | 9 | - | 10,874 |
| გადავადებული საშემოსავლო საგადასახადო აქტივი | 25 | - | 1,200 |
| გუდვილი | 10 | 20,374 | 20,374 |
| არამატერიალური აქტივები | 11 | 11,798 | 12,621 |
| შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები | 11 | 19,271 | 11,644 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 12 | 18,164 | 22,638 |
| სხვა აქტივები | 13 | 769 | 1,022 |
| მთლიანი აქტივები | | **247,407** | **207,862** |
| ვალდებულებები | | | |
| სხვა ბანკებისადმი | 14 | 11,845 | 1,815 |
| კლიენტთა ანგარიშები | 15 | 175,889 | 113,428 |
| მიმდინარე საშემოსავლო საგადასახადო ვალდებულება | | 114 | 105 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 16 | 348 | 21,605 |
| სხვა ვალდებულებები | 17 | 354 | 1,429 |
| სუბორდინირებული ვალი | 18 | 8,485 | 8,391 |
| მთლიანი ვალდებულებები | | **197,035** | **146,773** |
| კაპიტალი | | | |
| სააქციო კაპიტალი | 19 | 75,000 | 75,000 |
| აკუმულირებული დეფიციტი | | (24,628) | (13,426) |
| სხვა რეზერვები | | - | (485) |
| მთლიანი კაპიტალი | | **50,372** | **61,089** |
| მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი | | **247,407** | **207,862** |

დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2010 წლის 3 ივნისს.

გიორგი ღლონტი
გენერალური დირექტორი
ხელმოწერილია

ზურაბ ჯავახიშვილი
ფინანსური დირექტორი
ხელმოწერილია

| ათას ლარებში | შენიშვნა | 2009 | 2008 |
|---|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 20 | 29,441 | 18,370 |
| საპროცენტო ხარჯი | 20 | (14,152) | (9,345) |
| **სუფთა საპროცენტო შემოსავალი** | | **15,289** | **9,025** |
| სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | 8 | (8132) | (2,699) |
| **საპროცენტო შემოსავალი** | | **7157** | **6,326** |
| საკომისიო შემოსავალი | 21 | 3,952 | 2,739 |
| საკომისიო ხარჯი | 21 | (2,545) | (1,460) |
| შემოსავლებს მინუს ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან | | 1,591 | 518 |
| სუფთა ზარალი უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან | | (140) | (97) |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 22 | 1,561 | 556 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები | 23 | (21,093) | (21,690) |
| **ზარალი დაბეგვრამდე** | | **(9,517)** | **(13,108)** |
| საშემოსავლო საგადასახადო კრედიტი | 24 | (1,200) | 1,677 |
| **წლიური ზარალი** | | **(10,717)** | **(11,431)** |
| მთლიანი სრულყოფილი წლიური ზარალი | | **(10,717)** | **(11,431)** |

| *ათას ლარებში* | სააქციო კაპიტალი | რეზერვი | აკუმულირებული დეფიციტი | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| **ნაშთი 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **16,000** | **-** | **-** | **16,000** |
| კაპიტალის თავდაპირველი აღიარების შესწორება | - | (2,480) | - | (2,480) |
| კაპიტალის თავდაპირველი აღიარების შესწორების მოხსნა | | 1,995 | (1,995) | - |
| სრულყოფილი წლიური ზარალი | | | (11,431) | (11,431) |
| აქციების გამოშვება | 59,000 | - | - | 59,000 |
| **ნაშთი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **75,000** | **(485)** | **(13,426)** | **61,089** |
| კაპიტალის თავდაპირველი აღიარების შესწორების მოხსნა | - | 485 | (485) | - |
| სრულყოფილი წლიური ზარალი | - | - | (10,717) | (10,717) |
| **ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **75,000** | **-** | **(24,628)** | **50,372** |

| ათას ლარებში | შენიშვნა | **2009** | **2008** |
|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან** | | | |
| მიღებული პროცენტი | | 26,775 | 16,038 |
| გადახდილი პროცენტი | | (13,893) | (6,823) |
| მიღებული საკომისიოები | 21 | 3,952 | 2,739 |
| გადახდილი საკომისიოები | 21 | (2,545) | (1,460) |
| შემოსავალი მიღებული სავალუტო ოპერაციებიდან | | 1,591 | 518 |
| მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავლები | 22 | 81 | 281 |
| გადახდილი პერსონალის ხარჯები | 23 | (9,206) | (9,594) |
| გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები | | (6,370) | (7,571) |
| საშემოსავლო გადასახადი - გადახდილი | | | (254) |
| **საოპერაციო საქმიანობებში გამოყებული ფულადი სახსრები საოპერაციო აქტივებსა და პასივებში ცვლილების შეტანამდე** | | **385** | **(6,126)** |
| | | (1,422) | (4,941) |
| წმინდა ზრდა სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებში საქართველოს ეროვნულ ბანკში | | (56,728) | (19,228) |
| წმინდა ზრდა კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებში | | 129 | 731 |
| წმინდა კლება სხვა ფინანსურ აქტივებში | | 139 | (1,008) |
| წმინდა ზრდა/კლება სხვა აქტივებში | | 9,911 | (18,521) |
| წმინდა კლება/ზრდა სხვა ბანკების მოთხოვნებზე | | 62,323 | 67,828 |
| წმინდა ზრდა კლიენტთა ანგარიშებში | | (21,257) | (341) |
| წმინდა კლება/ზრდა სხვა ფინანსურ ვალდებულებებში | | (1,075) | 1,578 |
| **სუფთა ფულადი შემოსავლები საოპერაციო საქმიანობებიდან** | | **(7,595)** | **19,972** |
| **ფულადი სახსრების შემოდინება საინვესტციო საქმიანობებიდან** | | | |
| ვადიანი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა | | - | (17,327) |
| შემოსავალი ვადიანი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან ვადის გასვლის შემდეგ | | - | 17,327 |
| შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების შეძენა | 11 | (523) | (981) |
| შემოსავალი შენობა-ნაგებობების გაყიდვიდან | | 302 | - |
| შვილობილის შეძენაზე შეძენის დროს გადახდილი თანხა | | - | (14,840) |
| შვილობილის შეძენა, მეორე გადახდა | | - | (14,000) |
| საინვესტიციო საკუთრების შეძენა | 9 | - | (5,240) |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | 11 | (695) | (43) |
| **საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული სუფთა ფულადი სახსრები** | | **(916)** | **(35,104)** |
| **ფულადი სახსრების შემოდინება ფინანსური საქმიანობებიდან** | | | |
| ჩვეულებრივი აქციების გამოშვება | | 4,346 | 52,783 |
| **წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან** | | **4,346** | **52,783** |
| **გაცვლითი კურსის ცვლილების ზემოქმედება ნაღდ ფულსა და მის ექვივალენტებზე** | | **(140)** | **169** |
| **წმინდა ზრდა/კლება ნაღდ ფულსა და მის ექვივალენტებში** | | **(4,305)** | **37,820** |
| ნაღდი ფული და მისი ექუივალენტები წლის დასაწყისში | | **37,820** | **0** |
| **ფული და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს** | 7 | **33,515** | **37,820** |

The notes set out on pages 5 to 40 form an integral part of these consolidated financial statements.

## 1 შესავალი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს კორ სტანდარდ ბანკისათვის, ("ბანკი") და მისი ფილიალებისათვის (ერთობლივად წოდებულნი, როგორც "ჯგუფი" ან "ბანკი").

ბანკმა საქმიანობა დაიწყო 2008 წლის 6 მარტს, სს სტანდარტ ბანკისაგან აქციების 100% შესყიდივს შემდეგ შემდეგი აქციონერების მიერ: შეიხი ნაჰაიან მაბარაკ ალ ნაჰაიანი, რომელიც ფლობს აქციების 45%-ს, შეიხი ჰამდან ბინ ზაიედ ალ ნეჰაიანი, რომელიც ფლობს აქციების 20%-ს, შეიხი მოჰამედ ბუტი ალ ჰამედი, რომელიც ფლობს აქციების 15%, შეიხი მანსურ ბინ ზაიედ ბინ სულთან ალ ნეჰაიანი, რომელიც ფლობს აქციების 15% და შპს "საინვესტიციო სავაჭრო ჯგუფი, რომელიც ფლობს აქციების 5%.

ბანკი წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც შეზღუდულია აქციებით და ჩამოყალიბდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

***ძირითადი საქმიანობა.*** ბანკი ძირითადად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული და საცალო საბანკო ოპერაციები საქართველოს ფარგლებში. ბანკი მუშაობს სრული საბანკო ლიცენზიის შესაბამისად, რომელიც გაცემული იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2008 წლის 25 თებერვლიდან.

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნია 21 ფილიალი საქართველოში. მას ასევე გააჩნია წარმომადგენლობები წნორში, დედოფლისწყაროსა და სენაკში.

ბანკის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზირი 43.

***პრეზენტაციის ვალუტა.*** წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებანი წარმოდგენილია ათას ლარებში. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი შეადგენდა 1 აშშ დოლარი = 1.6858 ლარს (2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი = 1.6670 ლარს).

## 2 ბანკის სამუშაო გარემო

2009 წელი ასევე რთული წელი იყო საქარველოსთვის, რადგანაც 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა და გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ქვეყანაზე. წლის პირველ ნახევარში არასტაბილურ პოლიტიკურ ვითარებას, ინვესტიციების შემცირებას, როგორც უცხოური, ასევე საშიანაო, და მეტად შეზღუდულ საბანკო სესხების გაცემას შედეგად მოჰყვა ეკონომიკური აქტიურობის შემცირება ქვეყანაში. მთავრობამ შესძლო ეკონომიკის მსვლელობის შენარჩუნება დონორთა თავდაპირველი თანხების ათვისებით, საწყის ეტაპზე ინფრასტრუქტურულ პროექტებში და სოციალურ პროგრამებში. წლის მეორე ნახევარში პოლიტიკურ ვითარებაში გამოჩნდა სტაბილურობის ნიშნები და ეკონომიკაში გამოჩნდა აღორძინების გარკვეული ნიშნები, მაგრამ საგარეო გარემო კვლავ სუსტი რჩება საექსპორტო ბაზრის ზრდის თვალსაზრისით, ასევე გაურკვევლობით კერძო კაპიტალის შემოდინებების აღდგენასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, საშინაო საკრედიტო პირობები კვლავ მეტად რთული იყო, თუმცა, დაიწყო საპროცენტო განაკვეთების შემცირება.

2009 წელს ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ დაცემას საერთო შიდა პროდუქციის 4%-იანი შემცირებით. დაცემა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ არა საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი დახმარება 4.5 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით. წლიური ინფლაციის მაჩვენებელი შედარებით დაბალი იყო და შეადგენდა 3%-ს 5.5%-თან 2008 წელში და 11%-თან 207 წელში შედარებით. უფრო მეტიც, 2009 წლის სექტემბერში ფიტჩის რეიტინგმა დაადასტურა საქართველოს გრძელვადიანი საგარეო და ადგილობრივი ვალუტის გამოშვების დეფოლტის რეიტინგი "B+", და ქვეყნის მაქსიმალური მაჩვენებელი აწია "B+"-დან "BB"-მდე სტაბილური პერსპექტივით – რეიტინგი, რომელიც საქართველოს ჰქონდა 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულ კონფლიქტამდე.

საქართველოში მომავალი ეკონომიკური სტაბილურობის პრესპექტივა დიდად არის დამოკიდებული იმ ეკონომიკური ზომების ეფექტურობაზე, რომელიც მიღებული იქნა მთავრობის მიერ, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ წინსვლებთან ერთად. შიდა

და რეგიონალური ეკონომიკურიო სტაბილურობა აუცილებელია ეკონომიკის წარმატებულად განვითარებისათვის და სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია ადგილობრივი საინვესტიციო კლიმატის მუდმივ გაუმჯობესებას, რათა საქართველო კვლავ დაბრუნდეს ინვესტორების რუკაზე.

ბანკის მსესხებლებზე არასახარბიელო ზემოქმედება მოახდინა ფინანსურმა და ეკონომიკურმა გარემომ, რაც, თავის მხრივ, უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა მათ მიერ ნასესხები თანხების გადახდისუნარიანობაზე. მსესხებლებისა და ეკონომიკური პირობების გაუარესება აისახა მოსალოდნელი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზზე და გაუფასურების შეფასებაზე.

საქართველოს ბაზარი მრავალი სახის გირაოსა და, განსაკუთრებით უძრავი ქონებისათვის, მკაცრი ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდა ახლახანს მომხდარი ცვლილებები გამო საერთო ფინანსურ ბაზრებზე, რასაც შედეგად მოჰყვა მათი დაბალლიკვიდურობა აქტივების გარკვეული სახეობებისათვის. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ გირაოს რეალური სარეალიზაციო ღირებულება შეიძლება გასხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან, რაც დაფიქსირებულია გაანგარიშებად დაშვებებში გაუფასურებაზე. დარეზერვების თანხა გაუფასურებულ სესხებზე ემყარება ამგვარი აქტივების ბანკის მენეჯმენტის მიერ შეფასებას საბალანსო უწყისის თარიღისათვის, ფულადი სახსრების მიმოქცევების გათვალისწინების შემდეგ, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს გირაოს გამოსყიდვის უფლების გაუქმებიდან, მინუს გირაოს შეძენისა და სარეალიზაციო ხარჯები. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბანკის მენეჯმენტმა სწორად ასახა შესწორებული გაანგარიშებები მოსალოდნელ მომავალ ფულად სახსრების მოძრაობასთან მიმართებაში თავისი გაუფასურების შეფასებებში.

მენეჯმენტს არ ძალუძს საიმედოდ განსაზღვროს ზემოქმედება ბანკის მომავალ ფინანასურ მდგომარეობაზე ლიკვიდურების ნებისმიერი შემდგომი გაუარესების თვალსაზრიშით , ასევე მზარდი ცვალებადობა სავალუტო და სასაქონლო ბაზრებზე. მენეჯმენტს სჯერა, რომ იგი ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას, რათა ხელი შეუწყოს ბანკის მდგრადობას და მისი ბიზნესის ზრდას არსებულ ვითარებაში.

## 3 სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

### *შედგენის საფუძველი.*

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" ("ფასს") შესაბამისად, ისტორიული ღირებულებით, როგორც ეს განოსაზღვრება ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით, აქტივებისა და პასივების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკა, რომლის გატარებაც ხდება ამგვარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. ამგვარი პოლიტიკის გატარება მუდმივად ხდება ყველა წარმოდგენილ პერიოდში.

***კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებანი.***

შვილობილი კომპანიები, ანუ ის კომპანიები და სხვა დაწესებულებები (მათ შორის საგანგებო მოიზნის მქონე დაწესებულებები) როლებშიც ჯგუფს გააჩნია ინტერესი და ხმის უფლების ნახევარზე მეტი და უფლება აქვს გაატარონ ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა, რათა მიიღონ სარგებელი. პოტენციური ხმის მიცემის უფლებების არსებონა და შედეგი, რომელიც ამჟამად გამოიყენება და კონვერტირდება, მათი ჩათვლა ხდება იმის შეფასებისას, რომ ჯგუფი აკონტროლებს დაწესებულებებს, თუ არა. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია ჯგუფისათვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან (შეძენის თარიღი) და მათი დეკონსოლიდირება ხდება კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

აღრიცხვის შესყიდვის მეთოდი გამოიყენება შვილობილი კომპანიების შესყიდვისას. შესყიდვის ღირებულება იზომება აქტივების სამართლიანი ღირებულებით, გაცემული კაპიტალის ინსტრუმენტებით და ვალდებულებებით, რომელთა აღება მოხდა გაცვლის თარიღზე, პლუს ის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის შეტანილი შესყიდვაში. გაცვლის თარიღი არის შესყიდვის თარიღი, როდესაც ბიზნეს კომბინაცია სრულდება ერთჯერად ტრანსაქციაში და ასევე არის თითოეული აქციის შესყიდვის თარიღი, სადაც ბიზნეს კომბინაცია სრულდება ეტაპებად აქციების თანმიმდევრობითი შესყიდვებით.

შესყიდვის ღირებულების ნამატი შემსყიდველის წილზე შემსყიდველი კომპანიის სუფთა აქტივების სამართლიან ღირებულებაში თითოულ გაცვლით ტრანსაქციაში, რეგისტრირდება როგორც გუდვილი. შემსყიდველის ინტერესის ნამატი აღრიცხვას დაქვემდებარებული აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების სუფთა სამართლიან ღირებულებაში,

რომელიც შეძენილი იქნა ღირებულებით ("ნეგატიური გუდვილი") დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება მოგებაა, თუ ზარალში.
დასადგენი აქტივები, რომლებიც შედგენილი იქნა, ხოლო ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი ვალდებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია ბიზნეს კომბინაციაში, განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებებით შეძენის თარიღისათვის, რაიმე მეორეხარისხოვანი ინტერესის მასშტაბურობის მიუხედავად.

კომპანიათაშორისი გარიგებები, ბალანსები და არარეალიზებული შემოსავლები გაროგებებზე ჯგუფის კომპანიებს შორის გაუქმებულია; ასევე გაუქმებულია არარეალიზებული ზარალები, თუ არ მოხდება ღორებულების ამოღება. ბანკი და ყველა მისი ფილიალი ატარებს საერთო საბუღალტრო პოლიტიკას, ბანკის პოლიტიკასთან შესაბამისობაში.

***ფინანსური ინსტრუმენტები - განზომილების ძირითადი პირობები.***

თავიანთი კლასიფიკაციაზე დამოკიდებულებით, ფინანსური ინსტრუმენტები გამოიყენება მათი სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი.

*სამართლიანი ღირებულება* არის ის თანხა, რომელშიც შეიძლება აქტივის გაცვლა, ან მოგვარებული ვალდებულება მცოდნე, სურვილის მქონე მხარეებს შორის კომერციულ ოპერაციაში. სამართლიანი ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ფასი ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც კვოტირებულია აქტიურ ბაზარზე. ანაზღაურებადი რისკის მქონე აქტივებისა და პასივებისათვის, ბანკმა შეიძლება გამოიყენოს საშუალო სავაზრო ფასები, როგორც საფუძველი მათი სამართლიანი ღირებულების დასადგენად ანაზღაურებადი რისკის პოზიციებისათვის და შესაბამისად გამოიყენოს შეთავაზებული თუ მოთხოვნილი ფასი სუფთა ღია პოზიციისათვის. ინანსური ინსტრუმენტი ჩაითვლება კვოტირებულად აქტიურ ბაზარზე იმ შემთხვევაში, თუ კვოტირებული ფასი რეგულარულად არის ხელმისაწვდომი გაცვლითი თუ სხვა ინსტიტუტისაგან და ის ფასები წარრმოადგენს რეალურ და რეგულარულად განხორცილებულ საბაზრო ტრანსაქციას კონკურენტულ საფუძველზე.

შეფასების ტექნიკა, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების მიმოქცევის მოდელები ან მოდელები მიმდინარე კონკურენტულ ტრანსაქციებზე, თუ ინვესტიციის მიმღებთა ფინანსური მონაცემების გათვალისწინება გამოიყენება გარკვეული ფინანასური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით, რომლისთვისაც საგარეო საბაზრო ფასების ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების ტექნიკამ შეიძლება მოითხოვოს ვარაუდები, რომელიც არ არის განმტკიცებული შესაბამისი საბაზრო მონაცემებით. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების გამჟღავნება ხდება მაშინ, თუ ნებისმიერი ასეთი ვარაუდის ცვლილებას მიზანშეწონილად შესაძლებელ ალტერნატივაში შეიძლება შედეგად მოჰყვეს მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგება, შემოსავალი, მთლიანი აქტივები თუ მთლიანი ვალდებულებები.

ხარჯი წარმოადგენს ნაღდი ფულისა, თუ მისი ექვივალენტის თანხას, ან სამართლიან ღირებულებას სხვა კომპენსაცია, რომელიც გაიცემა აქტივის შესაძენად მისი შესყიდვის მომენტში და იგი მოიცავს ტრასაქციის ხარჯებს. ტრანსაქციის ხარჯები არის ის ხარჯები, რომლებიც წარმოადგენს თანაბრად ზრდა ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ შედის ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვაში, გაცემასა, თუ განკარგვაში. ზრდადი ხარჯი არის ერთ-ერთი მათგანი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული, თუ ტრანსაქციას არ ექნებოდა ადგილი. თრანსაქციის ხარჯებში შედის გასამრჯელოები და საკომისიოები, რომლებსაც უხდიან აგენტებს (მათ შორის თანამშრომლებს, რომლებიც მოქმედებენ, როგორს გაყიდვის აგენტები), მრჩეველებს, ბროკერებს და დილერებს, მარეგულირებელი სააგენტოების გადასახადები და ფასუიანი ქაღალდების გაცვლა, ასევე გადასახადებისა და ასაკრებლების გადარიცხვა. ტრანზაქციის ხარჯებში არ შედის დავალიანების პრემიუმები, თუ დისკონტები, დაფინანსების ხარჯები, თუ შიდა ადმინისტრაციული, თუ საინვენტარიზაციო ხარჯები.

## 3 სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

*ამორტიზირებული ხარჯი* არის ის თანხა, რომლითაც მოხდა ფინანსური ინსტრუმენტის აღიარება თავდაპირველი აღიარებით მინუს ნებისმიერი ძირითადი თანხების დაფარვა, პლუს დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივებისათვის მინუს მომხდარი გაუფასურების ზარალის ნებისმიერი ჩაწერა. დარიცხულ პროცენტში შედის ტრანსაქციის ხარჯების ამორტიზაცია, რომელიც გადავადებულია საწყისი აღიარებით და ნებისმიერი პრემია, თუ

დისკონტირება საბოლოო თანხამდე ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. არიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დარიცხული კუპონი და ამორტიზირებული დისკონტი, ან პრემია (მათ შორის გასამრჯელოები, რომლებიც გადავადებულია, თუ ასეთი არსებობს), არ წარედგინება ცალკე და შედის დაკავშირებული საბალანსო უწყისის მუხლების მიმდინარე ღირებულებაში.

*ეფექტური პროცენტის მეთოდი* არის საპროცენტო შემოსავლების, თუ საპროცენტო ხარჯების განთავსების მეთოდი შესაბამის პერიოდში ისე, რომ მიღწეული იქნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი მიმდინარე ღირებულებაზე (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მიახლოებითი მომავალი ფულადი გადახდების, თუ ქვითრების (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) დისკონტორებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სიცოცხლისუნარიონობისა, თუ უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, ფინანსური ინსტრუმენტის სუფთა მიმდინარე ღირებულებისადმი.

***ფინანსური ინტრუმენტების საწყისი აღიარება.*** სავაჭრო ფასიანი ქაღალდების, წარმოებულებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით მოგებასა და ზარალში, თავდაპირველი ჩაწერა ხდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტის თანდაპირველი ჩაწერა ხდება სამართლიანი ღირებულებით პლუს ტრანსაქციის ფასი. თავდაპირველი აღიარებით სამართლიანი ღირებულების საუკეთესოდ დასაბუთება ხდება ტრანსაქციის ფასით. თავდაპირველი აღიარებით მოგებისა, თუ ზარალის ჩაწერა მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანსაქციის ფასს შორის, რისი დასაბუთებაც შესაძლებელია სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანსაქციებით იმავე ინსტრუმენში, ან შეფასების ტექნიკით, რომელიც მოიცავს მხოლოდ მონაცემებს დაკვირვებადი ბაზრებიდან.

იმ ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და რეალიზაცია (“რეგულარული გზა” ყიდვა-გაყიდვა), რომელიც მოითხოვს მიწოდებას იმ დროის მონაკვეთში, რომელიც დაწესებულია დებულებით, ან საბაზრო კონვენციით, ჩაიწერება ვაჭრობის თარიღით, რაც წარმოადგენს თარიღს, როდესაც ბანკი იღებს ვალდებულებას ფინანსური აქტივების გადაცემაზე. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ობიექტი ხდება მხარე ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობებისადმი.

***ფინასური აქტივების არა აღიარება.*** ბანკი არ აღიარებს ფინანსურ აქტივებს, როდესაც (ა) აქტივების გამოსყიდვა ხდება, ან უფლებები ფულადი სახსრების მიმოქცევაზე აქტივებიდან სხვაგვარად ვადაგასულია ან (ბ) უფლებები ფულადი სახსრების მიმოქცევაზე ბანკმა გადაიტანა ფინანსური აქტივებიდან, ან მოახდინა საკვალიფიკაციო გამსვლელი შეთანხმება მაშინ, როდესაც ასევე გადასცემდა და არ ინარჩუნებდა არსებითად ყველა რისკებსა და საკუთრების წახალისებებს, მაგრამ არ ინარჩუნებდა კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორს არ გააჩნია პრაქტიკული უნარი, მოახდინოს მთლიანი აქტივების რეალიზაცია არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

**ფული და ფულადი ეკვივალენტები.** ფული და ფულადი ეკვივალენტები ის საკითხებია, რომლის კონვერტირება ხდება ცნობილ ტანხებად და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულადი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, მოთხოვნების ეროვნული ბანკისადმი (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო ინსტიტუტებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც გააჩნიათ გამოცემიდან 3 თვის ვადა. ის სახსრები, რომლებიც შეზღუდულია წარმოშობიდან სამ თვეზე მეტი ხნის მანძილზე, გამოირიცხება ფულისა და ფულადი ეკვივალენტებისაგან. ფული და ფულადი ეკვივალენტების წარმოება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

***სავალდებულო ფულადი რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში.*** სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში გატარდება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენენ უპროცენტო სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელიც არ გამოიყენება ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად, რის გამოც არ ჩაითვლება, როგორც ნაღდი ფულისა და ფულადი ექვივალენტების ნაწილი ფულადი სახსრების მიმოქცევების კონსოლიდირებული უწყისის მიზნებიდან გამომდინარე.

***კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები.*** კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების გატარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკი ფულს გასცემს, რათ შესყიდული იქნას ან წარმოიშვას არაკვოტირებული არაწარმოებული მისაღები თანხა კლიენტისაგან, რომელიც გადახდილი უნდა

იქნას ფიქსირებულ, ან განსაზღვლურ თარიღებზე და არ არის გამიზნული მისაღები თანხებით ვაჭრობისაკენ. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსების წარმოება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

***ფინანსური აქტივების გაუფასურება ამორტიზირებული ღირებულებით.*** ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. თუ ბანკი მიიჩნევს, რომ არ არსებობს ობიექტური მიზეზი იმისა, რომ გაუარესებას ადგილი ჰქონდა ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისათვის, ეს არის მნიშვნელოვანი, თუ უმნიშვნელო, იგი მოიცავს აქტივს ფინანსური აქტივების ჯგუფში მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და კოლექტიურად მოახდენს მათ შეფასებას გაუარესებასთან დაკავშირებით. პირველესი ფაქტორები, რასაც ბანკი ითვალისწინებს იმის განსაზღვირასთვის, რომ ფინანსური აქტივების გაუარესება ხდება მისი ვადაგადაცილებული სტატუსის გამო და თუ რამდენად რეალიზებადია შესაბამისი გირაო, თუ ასეთი რამ არსებობს.

სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ასევე გამოიყენება შემდეგ სხვა მთავარი კრიტერიუმები იმის განსაზღვრის მიზნით, თუ არსებობს რაიმე ობიექტური დასაბუთება იმისა, რომ ადგილი ჰქონდა გაუფასურების შედეგად მიღებულ ზარალს:

- ნებისმიერი შესატანი ვადაგადაცილებაშია და არ შეიძლება განხორციელდეს დაგვიანებული დაფარვა, იმ დაყოვნების გამო, რომელიც გამოწვეულია ანგარიშსწორების სისტემით;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რაც დასაბუთებულია მსესხებლის ფინანსური იმ ინფორმაციით, რომელიც ბანკმა მოიპოვა;
- მსესხებელი ითვლება გაკოტრებულად ან განიცდის ფინანსურ რეორგანიზაციას;
- მსესხებლის დაფარვის მდგომარეობასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა არასახარბიელო ცვლილებას, სახელმწიფო, ან ადგილობრივ ეკონომიკურ ვითარებაში ცვლილებების შედეგად, რამაც ზემოქმედება მოახდინა მსესხებელზე; ან
- გირაოს ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება გაუარესებული საბაზრო პირობების გამო.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივების დაჯგუფება ხდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ამგვარი მახასიათებლები შეესაბამება ფულადი სახსრების მიმოქცევის გაანგარიშებას ისეთი აქტივების ჯგუფებისათვის, რაც წარმოაგენს მოვალის უნარიანობის მაჩვენებელს, თუ რამდენად შეუძლია დაფაროს ყველა ის თანხები, რომლების შესატანია შესაფასებელი აქტივების საკონტრაქტო პირობების შესაბამისად.

ფულადი სახსრების მომავალი მიმოქცევები ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელთა გაუფასურებაზეც შეფასება ხდება კოლექტიურად, გაინაგარიშება აქტივების საკონტრაქტო პირობებისა და მენეჯმენტის გამოცდილების შესაბამისად, თანხების ვადაგადაცილების მასშტაბებთან მიმართებაში, წარსული დანაკარგების შემთხვევებისა და ვადაგადაცილებული თანხების ამოღების წარმატებასთან დაკავშირებით. წარსული გამოცდილების დარეგულირება ხდება მიმიდინარე შესასრულებელი თარიღების საფუძველზე, რათა აისახოს მიმიდინარე პირობების ზემოქმედება, რამაც ზემოქმედება არ მოახდინა წარსულ პერიოდებზე და მოიხსნას წარსული პირობების ზემოქმედება, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება გაუფასურებული იმ ფინანსური აქტივის ვადების გადახედვა, რომლებიც შენარჩუნებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ან სხვაგვარად მოდიფიცირება მსესხებლია, თუ გამცემის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება განისაზღვრება თავდაპირველად ძალაში მყოფი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სანამ მოხდება ვადების მოდიფიცირება.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხდება დასასვები ანგარიშით, რათა ჩაიწეროს აქტივის მიმდინარე ღირებულება ფულადი სახსრების სავარაუდო მიმოქცევების ამჟამინდელ ღირებულებამდე (რაც გამორიცხავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რასაც ადგილი არ ჰქონია), რომელთა დისკონტირება მოხდა აქტივის თავდაპირველად ძალაში მყოფ საპროცენტო

განაკვეთზე. დაგირავებული ფინანსური აქტივის გაანგარიშებული ფულადი სახსრების მომავალი მიმოქცევის მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშება, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს გირაოს გამოსყიდვის უფლების გაუქმება მინუს ხარჯები გირაოს შეძენისა და რეალიზების ხარჯები, მიუხედავად იმისა, რომ გირაოს გამოსყიდვის უფლების გაუქმება სავარაუდოა, თუ არა.

თუ, შემდგომ პერიოდში, გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება შეიძლება ობიექტურად დაკავშირებული იყოს შემთხვევასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა გაუფასურების შემდეგ, აღიარებული იქნა (როგორიცაა მოვალის საკრედიტო რეინტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმებული იქნა, დაშვების ანგარიშის შესწორებით წლიური მოგება-ზარალის საშუალებით.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის მიხედვით, მას შემდეგ, რაც ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულდება, რაც დაკავშირებულია აქტივის ამოღებასთან და განისაზღვრება ზარალის თანხა. იმ თანხების შემდგომი ამოღებები, რომლებიც ადრე ჩამოწერილი იქნა, შეიტანება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე, წლიურ მოგებასა, თუ ზარალში.

***ჩამორთმეული გირაო.*** ჩამორთმეული გირაო წარმოადგენს ფინანსურ ან არაფინანსურ აქტივებს, რომელიც შეძენილი იქნა ბანკის მიერ ვადაგადაცილებული სესხების გასაწორებლად. თავდაპირველად აქტივების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, როდესაც შეძენილი იქნა და შეტანა ხდება შენობასა და მოწყობილობაში, სხვა ფინანსური აქტივები, თუ ინვენტარი სხვა აქტივების შიგნით, ბანკის განზრახვის ხასიათზე დმოკიდებულებით, რაც შეეხება ამგვარი აქტივების ამოღებას და შემდგომ ხელახლა განისაზღვრება და განმარტებულია საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისად ამგვარი კატეგორიის აქტივებისათვის.

***კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები.*** კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებების აღება, მათ შორის აკრედიტივები და ფინანსური გარანტიები. ფინანსური გარანტიები წარმოადგენს შეუქცევად რწმუნებას იმისა, რომ მოხცდება გადახდები იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს მესამე მხარის მიმართ და იმავე რისკის მატარებელია, რაც სესხები. ფინანსური გარანტიებისა და სესხის გაცემაზე ვალდებულებელის საწყისი აღიარება ხდება მათი სამართლიანი ღირებულებით, რაც ჩვეულებრივ დასაბუთებულია მიღებული გასამრჯელოების თანხით. ამ თანხის ამორტიზირება ხდება წრფივად ვალდდებულების ვადის განმავლობაში, გარდა სესხების წარმოშობის ვალდებულებებისა, თუე ს სავარაუდოა, რომ ბანკი გააფორმებს სპეციფიკურ სასესხო შეთანხმებას და არ მოელის იმას, რომ მოახდინოს სესხის რეალიზება მისი წარმოშობის შემდეგ; ამგვარი სასესხო ვალდებულების გასამრჯელო გადავადდება და შეტანილი იქნება სესხის მიმდინარე ღირებულებაში თავდაპირველი აღიარებისას. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებები განისაზღვრება ნარჩენი არაამორტიზირებული ნაშთის უმაღლესი თანხით საწყისი აღიარებით და იმ დანახარჯის საუკეთესო გაანგარიშებით, რაც საჭიროა ვალდებულების გასასტუმრებლად თითოეული საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

## 3 სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

***დაფარვის ვადამდე შენარჩუნებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.*** ამ კლასიფიკაციაში შედის კვოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დასაფიქსირებელი გადახდებით და ფოქსირებული დაფარვის ვადებით, რამეთუ ბანკს გააჩნია როგორც განზრახვა, ასვე შეუძლია დაფარვის ვადამდე შენარჩუნება. მენეჯმენტი განსაზღვრავს დაფარვის ვადამდე შენარჩუნებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებით და ხელახლა შეაფასებს ამ კლასიფიკაციის შესაბამისობას თითოეული საბალანსო უწყისის თარიღზე. დაფარვის ვადამდე შენარჩუნებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გატარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

***გუდვილი.*** გუდვილი წარმოადგენს შესყიდვის ღირებულების ნამეტ თანხას დასადგენი აქტივებში შემძენის წილის სამართლიან ღირებულებაზე, შეძენილი ფილიალისა თუ პარტნიორის ვალდებულებებზე და პირობით ვალდებულებებზე გაცვლის თარიღზე. ფილიალების შესყიდვაზე გუდვილი ცალკეა წარმოდგენილი კონსოლიდირებულ საბალანსო უწყისში. პარტნიორის შესყიდვაზე გუდვილის შეტანა ხდება დაკავშირებულ კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებში. გუდვილის გაიანგარიშება ღირებულებით მინუს აკუმულირებული გაუფასურების დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გაუფასურებაზე გუდვილის შემოწმებას ბანკი ახორციელებს სულ მცირე ყოველწლიურად და როდესაც კი არის ნიშნები იმისა, რომ შეიძლება მოხდეს გუდვილის გაუფასურება. გუდვილის განთავსება ხდება ფულის შემომტან ერთეულებზე, ან ბანკებში, რომლებიც ისარგებლებენ ბიზნეს კომბინაციიის შერწყმით. ამგვარი ერთეულები, თუ ჯგუფები წარმოადგენენ ყველაზე დაბალ დონეს, რომელზედაც ბანკი აკონტროლებს გუდვილს და არ არიან სეგმენტზე უფრო დიდი. მოგება, თუ ზარალი ოპერაციის განკარგვაზე ფულის შემომტან ერთეულში, რომელზედაც განთავსდა გუდვილი, მოიცავს გუდვილის მიმდინარე თანხას, რაც დაკავშირებულია განკარგულ ოპერაციასთან და ზოგადად განისაზღვრება განკარგული ოპერაციების შედარებითი ღირებულებების საფუძველზე და ფულის შემომტანი ერთეულის იმ ნაწილზე, რომელიც შეინახება.

***შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა.*** შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა რეგისტრირებულია ღირებულებით მინუს დაგროვილი ცვეთა და რეზერვი გაუფასურებაზე.

მცირე რემონტისა და ექსპლოატაციის ხარჯების გაწევა ხდება მოთხოვნისამებრ. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მთავარი ნაწილებისა, თუ კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზირებულია და შეცვლილ ნაწილი ჩამოიწერება.

ანგარიშგების თითოეულ თარიღზე მენეჯმენტი განსაზღვრავს, არის თუ არა შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ამგვარი რაიმე ნიშანი არსებობს, მენეჯმენტი გამოითვლის ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებაზე უფრო მაღალი ღირებულება მინუს სარეალიზაციო ხარჯები და მისი მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე თანხა შემცირდება ამოსაღებ თანხამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარებული იქნება საოპერაციო უწყისში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, გარდაიქმნება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრის მიზნით, ან სდამართლიან რირებულებას მინუს სარეალიზაციო ხარჯები.

შემოსავლები და ზარალი განკარგვაზე, რომლებიც განისაზღვრება შემოსავლების შედარებით მიმდინარე თანხასთან, აღიარებულია მოგებაში, ან ზარალში.

***ცვეთა.*** მიწისა და მიმდინარე მშენებლობის ცვეთა არ ხდება. სხვა საგნებისა და შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების ცვეთ გამოიანგარიშება სწირხაზოვანი მეთოდის გამოყენებით, რათა მოხდდეხ მათი ღირებულების განთავსება ნარჩენ ღირებულებაში მათი გამოანგარიშებული საექსპლოატაციოს პერიოდის განმავლობაში.

| | წელი |
|---|---|
| შენობა-ნაგებობები | 25 |
| მოწყობილობა და ტრანსპორტი | 5 |
| საიჯარო გაუმჯობესებები | აღნიშნული იჯარის ვადის განმავლობაში |

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის გამოანგარიშებული თანხა, რომელსაც ჯგუფი ამჟამად ღებულობს აქტივების განგარგვიდან, მინუს განკარგვის მიახლოებითი ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ ხნისაა და იმ პირობებშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი საექსპლოატაციო პერიოდის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და საექსპლოარაციო პერიოდი განიხილება და მოხდება მისი შესწორება საჭიროებისამებრ საბალანსო უწყისის თითოეული თარიღისათვის.

***არამატერიალური აქტივები.*** ბანკის ყველა მატერიალური აქტივს გააჩნია განსაზღვრული საექსპლიატაციო პერიოდი.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიუების კაპიტალიზირება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია სპეციფიკური პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და გამოსაყენებლად. კაპიტალიზირებული კომპიუტირული პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზირება ხდება სწორხაზოვნად საექსპლოატაციო პერიოდის განმავლობაში ხუთ წლამდე.

კლიენტთან ურთიერთობის ღირებულება განისაზღვრება, როგორც ბიზნეს კომბინაციის შედეგად, რომელიც ამორტიზირდება სწორხაზოვნად კლიენტთან ურთიერთობის მოსალოდნელი 10 წლიანი ხალგძლივობის მანძილზე.

## 3 სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

***საოპერაციო იჯარები.*** სადაც ბანკი არის მეიჯარე იმ იჯარისას, რომელიც არ გადასცემს ყველა რისკებსა და ჯილდოებს შემთხვევით მოიჯარიდან ბანკზე. მთლიანი საიჯარო გადასახადები გარდაიქმნება მოგებად, თუ ზარალად სწორხაზოვნად იჯარის პერიოდის განმავლობაში.

სხვა ხელშეკრულებებში ჩასმული იჯარები ცალკე გამოიყოფა იმ შემთხვევაში, თუ (ა) შეთანხმების განხორციელება დამოკიდებულია სპეციფიკური აქტივის თუ აქტივების გამოყენებაზე და (ბ) შეთანხმება გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას.

როდესაც ხდება აქტივების იჯარით გაცემა საოპერაციო ლიზინგით, იჯარის გადასახადები აღიარებულია, როგორც საიჯარო შემოსავალი სწორხაზოვნად, იჯარის ვადის მიხედვით.

***დავალიანება სხვა ბანკების მიმართ.*** სხვა ბანკების მიმართ დავალიანების თანხების გატარება მოხდება მაშინ, როდესაც ფული, თუ სხვა აქტივები გაიცემა ბანკზე პარტნიორი ბანკების მიერ. რაწარმოებული ვალდებულების დარეგისტრირება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ შეისყიდის თავის საკუთარ დავალიანებას, ვალდებულება ამოღებული იქნება კონსოლიდირებული საბალანსო უწყისიდან და სხვაობა ვალდებულების მიმდინარე თანხასა და გადახდილ კომპენსაციას შორის შეტანილი იქნება მოგებასა, თუ ზარალში, რომელიც გამომდინარეობს დავალიანების დაფარვიდან.

***კლიენტის ანგარიშები.*** კლიენტის ანგარიშები წარმოადგენს არაწარმოებულ ვალდებულებებს პიროვნებების, სახელმწიფოს, თუ კორპორატიული კლიენტების მიმართ და მათი გატარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

***სუბორდინირებული სესხი.*** სუბორდინირებულ სესხში შედის გრძელვადიანი, არაწარმოებული ვალდებულებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ და მისი გატარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. სუბორდინირებული სესხის დაფარვა მოდის ყველა სხვა კრედიტორების შემდეგ ლიკვიდაციის შემთხვევაში და შეტანილია ბანკის მე-2 დონის კაპიტალში.

რისკის მართვის ფუნქციის გატარება ბანკში ხდება ფინანსურ (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებაში. ფინანსური რისკი მოიცავს ბაზრის (სავალუტო, საპროცენტო და სხვა რისკს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ რისკის გამოვლენა ამ ლიმიტებში ჯდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

**საკრედიტო რისკი.** საკრედიტო რისკი არის ის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე მეორე მხარესათვის გამოწვევს ფინანსურ ზარალს ვალდებულებების შეუშ რულებლობის გამო. საკრედიტო რისკის საშიშროება წარმოიშობა ბანკის მიერ გაცემული სესხებისა, თუ პარტნიორებთან სხვა ტრანსაქციების შედეგად, რაც გამოიწვევს ფინანსური აქტივების ზრდას.

ბანკის საბალანსო უწყისის საკრედიტო რისკის მაქსიმალური გამოვლენა ზოგადად გამოიხატება საბალანსო უწყისში ფინანსური აქტივების მიმდინარე ღირებულებაში. აქტივებსა და ვალდებულებებს შორის განსხვავების გავლენა საკრედიტო რისკის შესაძლო გამოვლენის შესამცირებლად უმნიშვნელოა. რაც შეეხება გარანიებსა და ვალდებულებებს კრედიტის გაცემაზე, ვალდებულების თანხა არის მაქსიმალური საკრედიტო რისკი.

ბანკი ადგენს საკრედიტო რისკის დონეების სტრუქტურას სარისკო თანხაზე ლიმიტების დაწესებით, რაც მიღებულია კლიენტთან, თუ მსესხებელთა ჯგუფებთან, ასევე გეოგრაფიულ და სამრეწველო სეგმეტებთან დაკავშირებით. პროდუქტებისა და სამრეწველო სექტორის მიხედვით, საკრედიტო რისკის დონეებზე დაწესებული ლიმიტების დამტკიცებას რეგულარულად ახდენს მენეჯმენტი. მსგავარი რისკების მონიტორინგი ხდება სისტემატურად და წარმოადგენს ყოველწლიური, თუ უფრო ხშირი განხილვის საგანს.

ბანკმა შექმნა რამდენიმე საკრედიტო კომიტეტი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დამტკიცებულ საკრედიტო ლიმიტებზე ინდივიდუალური მსესხებლებისათვის:

- სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტს 850 000 ლარზე ზემოთ და იკრიბება რეგულარულად;
- მთავარი საკრედიტო კომიტეტი განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტს 850 000 ლარამდე და იკრიბება რეგულარულად. იგი აგრეთვე პასუხისმგებელია იმაზე, რომ მითითებები მისცეს ქვედა დონის საკრედიტო კომიტეტებს;
- ქვედა დონის საკრედიტო კომიტეტი განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტს 50 000 ლარს ქვემოთ და იკრიბება რეგულარულად.

სესხზე /კრედიტზე მოთხოვნის წარმოშობის ინიცირება ხდება კლიენტებთან ურთიერთობის შესაბამისი მენეჯერების მიერ ხოლო შემდეგ იგი გადაეცემა შესაბამის საკრედიტო კომიტეტს საკრედიტო ლიმიტის დასამტკიცებლად. საკრედიტო რისკის მართვა აგრეთვე ნაწილობრივ ხორციელდება გირაოს ამოღებითა და კორპორატიული, ასევე პირადი გარანტიების მიღებით.

## 25 ფინანსური რისკი მართვა ( გაგრძელება)

საკრედიტო რისკის გაკონტროლების მიზნით, საკრედიტო დეპარტამენტის ოფიცრები ახდენენ რეგულარული ანგარიშების წარდგენას სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე, ახდენენ რა ყურადღების კონცენტრაციას კლიენტის ბიზნესსა და ფინანსურ შედეგებზე. ნებისმიერი მნიშვნელოვანი გაცემული სესხების შესახებ იმ კლიენტებზე, რომელთა კრედიტუნარიანობა უარესდება, აკეთებენ ანგარიშს და მისი განხილვა ხდება დირექტორთა საბჭოს მიერ. ბანკი არ იყენებს რაიმე დამტკიცებულ შიდა საკრედიტო რეიტინგებს, რათა გააკონტროლონ საკრედიტო რისკის შემცველი სესხები. მენეჯმენტი აკონტროლებს და შემდგომში თვალყურს ადევნებს დავალიანებების ნაშთებს.

საკრედიტო რისკი გარესაბალანსო უწყისის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის განისაზღვრება იმ ზარალის მიღების შესაძლებლობით, რომელიც გამოწვეულია ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტორი მეორე მხარის მიერ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობით. პირობითი ვალდებულებების აღებისას ბანკი იყენებს იგივე საკრედიტო პოლიტიკას, რასაც საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, კრედიტის დამტკიცების დადგენილი პროცედურის, დაწესებული რისკის კონტროლის ლიმიტებისა და მონიტორინგის პროცედურების შესაბამისად.

**საბაზრო რისკი.** ბანკი ასევე დგას საბაზრო რისკის გამოვლენის წინაშე. საბაზრო რისკები წარმოიშობა ვალუტის, საპროცენტო განაკვეთისა და ფასიანი ქაღალდების ღია პოზიციებიდან, რომლებიც დამოკიდებული ბაზრის ცვლილებასთან (ვოლატილობასთან). მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს რისკის მისაღებ მოცულობაზე რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელვანი ცვლილებების შემთხვევაში.

**სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკთან დაკავშირებით, მენეჯმენტი აწესებს რისკის ლიმიტებს ვალუტის მიხედვით ჯამურ თანხაზე, როგორც ღამის ის დღის პოზიციებისთვის და უწევს მონიტორინგს ყოველდღიურად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ვალუტის გაცვლითი კურსის რისკის მიმართ ბანკის მდგომარეობა საბალანსო უწყისის თარიღისთვის.

| | 31 დეკემბერი 2009 | | | 31 დეკემბერი 2008 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ათასი ლარი* | მონეტარული ფინანსური აქტივები | მონეტარული ფინანსური ვალდებულებები | ბალანსი | მონეტარული ფინანსური აქტივები | მონეტარული ფინანსური ვალდებულებები | ბალანსი |
| ლარი | 49,969 | 54,664 | (4,695) | 43,110 | 40,283 | 2,827 |
| აშშ დოლარი | 125,213 | 112,399 | 12,814 | 87,893 | 86,058 | 1,835 |
| ევრო | 19,347 | 28,791 | (9,444) | 18,568 | 18,496 | 72 |
| ფუნტი სტერლინგი | 601 | 698 | (97) | 353 | 355 | (2) |
| რუსული რუბლი | 43 | 15 | 28 | 160 | 43 | 117 |
| სხვა | 22 | - | 22 | 43 | 4 | 39 |
| **სულ** | **195,195** | **196,567** | **(1,372)** | **150,127** | **145,239** | **4,888** |

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები კაპიტალში და არამონეტარული აქტივები არ იძლევა რაიმე მატერიალური სავალუტო რისკის გამომწვევის მიზეზს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგძნობიარობა სავალუტო კურსის შესაძლო ცვლილებების მიმართ ბალანსის თარიღისთვის ბანკის მიერ გამოყემებულ ფუნქციურ ვალუტებთან მიმართებაში, როცა ყველა სხვა ცვლადები მუდმივია.

| | 31 დეკემბერი 2009 | | 31 დეკემბერი 2008 | |
|---|---|---|---|---|
| *ათასი ლარი* | გავლენა მოგება-ზარალზე | გავლენა კაპიტალზე | გავლენა მოგება-ზარალზე | გავლენა კაპიტალზე |
| დოლარის გამყარება 10%-- ით | 1,281 | 1,089 | 184 | 156 |
| დოლარის დასუსტება 10%- ით | (1,281) | (1,089) | (184) | (156) |
| ევროს გამყარება 10%- ით | (944) | (809) | 7 | 6 |
| ევროს შესუსტება 10% - ით | 944 | 802 | (7) | (6) |

სავალუტო რისკის გამოვლენა გამოთვლილ იქნა მხოლოდ იმ მონეტარული ნაშთებისთვის, რომლებიც გამოსახულია ბანკის ფუნქციური ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში.

***საპროცენტო განაკვეთის რისკი.*** ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე ზეგავლენას ახდენს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთის ფლუქტუაციები (ცვლილებები). ასეთი ცვლილებების შედეგად საპროცენტი განაკვეთის მარჟა შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს და გამოიწვიოს დანაკარგები მაშინ, როცა მოულოდნელ ფლუქტუაციებს ექნება ადგილი. მენეჯმენტი ყოველდღიურად აკონტროლებს სიტუაციას და აწესებს ლიმიტებს საპროცენტო განაკვეთის გადაფასების იმ შეუსაბამობის დონეზე, რომელიც განხორციელებადია.

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი პასუხისმგებელია საპროცენტო რისკის მართვაზე, რისკის მართვის განყოფილება კი მის კონტროლზე, ხოლო დირექტორთა საბჭომ უნდა დაამტკიცოს ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა სახელმძღვანელო და აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების პროცედურა. ბანკი მართავს თავის საპროცენტო განაკვეთის რისკს შეთავსების გზით, სადაც ეს შესაძლებელია, მის ვადიანობას და/ან გადაფასების პოზიციებს. გარდა ამისა, ბანკის ყოველთვიური საპროცენტო მარჟების მიმოხილვა მუდმივად მიმდინარეობს, რათა მოახდინოს თავისი აქტივების გადაფასება, როცა ამა მიიჩნევს საჭიროდ. საოპერაციო პროცედურებში დაწესებულია მისაღები საპროცენტო განაკვეთი მარჟა მინიმუმ 10%-ის ოდენობით. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი და რისკის მართვის განყოფილება ახორციელებენ მუდმივ მონიტორინგს ამ მარჟის დაცვაზე. შაფინანსო განყოფილება მოამზადებს საპროცენტო განაკვეთის მარჟის ანგარიშს და წარუდგენს აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტს, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებელია ანგარიშების წარდგენაზე საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობისა და პროგნოზის შესახებ. ამჟამად ცვალებადობს 13%-11%-ს შორის, ამრიგად, ბანკის შეთავსების პოლიტიკა და მაღალი საპროცენტო განაკვეთის მარჟა არ არის მიჩნეული, როგორც მნიშვნელოვანი. ყველა ფინანსურ აქტივსა და პასივს ერიცხება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია, თუ რამდენად ექვემდებარება ბანკი საპროცენტო განაკვეთის რისკებს. ცხრილში წარმოდგენილია ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჯამური თანხები საბალანსო ღირებულებებით, კატეგორიებად არის დაყოფილი ადრინდელი საკონტრაქტო პროცენტის გადაფასებისა, თუ ვადიანობის თარიღების მიხედვით:

## 25 ფინანსური რისკი მართვა ( გაგრძელება)

| ათასი ლარი | მოთხოვნა 1 თვემდე | 1-დან 6 თვემდე | 6- დან 12 თვემდე | 1 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 31 დეკემბერი 2009 | | | | | |
| სულ ფინანსური აქტივები | 41,403 | 75,1 | | 57,66 | 1 |
| სულ ფინანსური | 111,346 | 42,7 | | 14,25 | 1 |
| განსხვავება **2009** წლის **31** დეკემბერის მდგომარეობით | **(69,943)** | **32,405** | **(7,247)** | **43,413** | **(1,372)** |
| **31** დეკემბერი **2008** | | | | | |
| სულ ფინანსური აქტივები | | | | | 1 |
| სულ ფინანსური | | | | | 1 |
| განსხვავება **2008** წლის **31** დეკემბერის მდგომარეობით | **(2** | **(2** | | | |

ბანკი მონიტორინგს უწევს საპროცენტო განაკვეთს მისი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ქვეოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ის საშუალო საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც წარმოდგენილია მენეჯმენტის მიერ განხილულ ანგარიშებში:

| | **2009** | | | **2008** | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *წლიური %* | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | ლარი | აშშ დოლარი | ევრო |
| აქტივები | | | | | | |
| ფული და მისი ეკვივალენტები | 1.10 | 0.20 | 2.00 | 11.50 | 9.00 | 4.50 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და საავანსო თანხები | | | | | | |
| - *კორპორატიული სესხები* | 23.90 | 21.90 | 19.90 | 20.00 | 24.00 | 20.00 |
| - *იპოთეკური სესხები* | 27.00 | 22.68 | 22.62 | | 23.00 | |
| - *სესხები ფიზიკური პირებისთვის – სამომხმარებლო* | 22.41 | 29.30 | 21.00 | 24.00 | 24.00 | 19.50 |
| - *სესხები ფიზიკური პირებისთვის – სამეწარმეო* | 34.50 | 31.40 | 24.00 | 28.00 | 30.00 | |
| - *სალომბარდე სესხები* | | 28.60 | | | 25.80 | |
| სხვა ფინანსური აქტივები | | 3.00 | | | 3 | |
| ვალდებულებები | | | | | | |
| სხვა ბანკებისთვის გადასახდელი | - | 3.00 | - | 6.50 | 8.00 | - |
| კლიენტის ანგარიშები | | | | | | |
| - მიმდინარე და ანგარიშსწორების ანგარიშები | 7.58 | 5.46 | 4.44 | 6.50 | 5.00 | 4.00 |
| - ვადიანი ანაბრები | 8.80 | 7.65 | 6.28 | 12.00 | 9.80 | 8.50 |
| სუბორდინირებული სესხი | - | 11.00 | - | - | 11.00 | - |

"-" ნიშანი მოცემულ ცხრილში მიუთითებს იმაზე, რომ ბანკს არ აქვს შესაბამისი აქტივი ან ვალდებულება შესაბამის ვალუტაში.

***სხვა რისკი ფასებთან დაკავშირებით.*** ბანკი ექვემდებარება წინსწრებით დაფარვის რისკს ფიქსირებული, თუ ცვალებადი განაკვეთის სესხების გაცემით, მათ შორის გირაოები, რომლებიც უფლებას აძლევს მსესხებელს, მოახდინოს სესხების ადრე დაფარვა. ბანკის მიმდინარე წლის ზარალსა და კაპიტალზე მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ მოუხდენია წისწრებით დაფარვის ტარიფების ცვლილებებს, რამეთუ ამგვარი სესხების გატარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით და წინსწრების უფლება არის კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების ამორტიზირებულ ღირებულებაზე, ან ახლოსაა მასთან.

**25** ფინანსური რისკი მართვა ( გაგრძელება)

***გეოგრაფიული რისკის კონცენტრაცია.*** ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2009 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

| *ათასი ლარი* | საქართველო | OECD | Non-OECD | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| აქტივები | | | | |
| ფული და მისი ეკვივალენტები | 32,646 | 709 | 160 | **33,515** |
| ძირითადი სარეზერვო დეპოზიტები სებ-ში | 6,363 | - | - | **6,363** |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 137,153 | - | - | **137,153** |
| სხვა ფინანსური აქტივები | 293 | - | 17,871 | **18,164** |
| სულ ფინანსური აქტივები | **176,455** | **709** | **18,031** | **195,195** |
| არაფინანსური აქტივები | **54,614** | **-** | **-** | **54,614** |
| სულ აქტივები | **231,069** | **709** | **18,031** | **249,809** |
| ვალდებულებები | | | | |
| სხვა ბანკებისთვის გადასახდელი | 11,845 | - | - | **11,845** |
| კლიენტის ანგარიშები | 175,889 | - | - | **175,889** |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 348 | - | - | **348** |
| სუბორდინირებული სესხი | 8,485 | - | - | **8,485** |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | **196,567** | **-** | **-** | **196,567** |
| არაფინანსური ვალდებულებები | **468** | **-** | **-** | **468** |
| სულ ვალდებულებები | **197,035** | **-** | **-** | **197,035** |
| წმინდა საბალანსო პოზიცია | **34,034** | **709** | **18,031** | **52,774** |
| კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები | **20,200** | **-** | **-** | **20,200** |

ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2008 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

| *ათასი ლარი* | საქართველო | OECD | Non-OECD | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| აქტივები | | | | |
| ფული და მისი ეკვივალენტები | 37,502 | 96 | 222 | **37,820** |
| ძირითადი სარეზერვო დეპოზიტები NBG-ში | 4,941 | - | - | **4,941** |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 84,728 | - | - | **84,728** |
| სხვა ფინანსური აქტივები | 586 | 188 | 21,864 | **22,638** |
| სულ ფინანსური აქტივები | **127,757** | **284** | **22,086** | **150,127** |
| არაფინანსური აქტივები | **57,735** | **-** | **-** | **57,735** |
| სულ აქტივები | **185,492** | **284** | **22,086** | **207,862** |
| ვალდებულებები | | | | |
| სხვა ბანკებისთვის გადასახდელი | 1,815 | - | - | **1,815** |
| კლიენტის ანგარიშები | 109,054 | 713 | 3,661 | **113,428** |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 487 | 40 | 21,078 | **21,605** |
| სუბორდინირებული სესხი | 8,391 | - | - | **8,391** |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | **119,747** | **753** | **24,739** | **146,773** |
| არაფინანსური ვალდებულებები | **1,534** | **-** | **-** | **1,534** |
| სულ ვალდებულებები | **121,281** | **753** | **24,739** | **146,773** |
| წმინდა საბალანსო პოზიცია | **64,211** | **(469)** | **(2,653)** | **61,089** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები | **26,540** | **-** | **-** | **26,540** |

## 25 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

**სხვა რისკის კონცენტრაცია.** მენეჯმენტი უწევს მონიტორინგს და წარმოადგენს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას მსესხებლებთან დაკავშირებული სხავდასხა ანგარიშების საფუძველზე. 2009 წლის 31 დეკემბერს ბაკნს არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია.

**ლიკვიდობის რისკი.** ეს არის რისკი როცა ბანკს უჩნდება სიძნელეები თავისი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად. აქ იგულისხმება ფულის იმ საჭირო ოდენობის არსებობა, რომელიც დააკმაყიფილებს დეპოზიტებიდან თანხების გატანას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ვალდებულებებს მათი საჭიროების შემთხვევაში. ლიკვიდურობის რისკს ადგილი აქვს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. ვადიანობისის ეს შესაბამისობა ან კონტროლირებადი შეუსაბამობა და აქტივებისა და ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი უმნიშვნელოვანესია ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის საქმეში.

ლიკვიდობის რისკის მართვისთვის, ბანკი ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს კლიენტებსა და საბანკო ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების მოძრაობის შეფასებით, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალედებულებების მართვის შემადგენელ ნაწილს. დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭო აწესებენ ლიმიტებს დასაფარი თანხის მინიმალურ ნაწილზე ანაბრებიდან თანხის გატანის შემთხვევაში, ასევე ბანკთაშორისი და სასესხო საშუალებების იმ მინიმალურ ნაწილზე, რომელმაც უნდა დაფაროს თანხის გატანა როგორც ნორმალურ ისე დაძაბულ სიტუაციებში. ისინი ასევე ადგენენ პარამეტრებს ვალდებულების ბაზის რისკის დივერსიფიკაციისათვის.

საქართველოს ეროვნულ ბანკი განსაზღვრავს ლიკვიდობისთვის საჭირო მინიმალურ დონეს

ბანკის ლიკვიდობის პოლიტიკა მოიცავს:

- ფულადი სახსრების მოძრაობის დაგეგმვას და ლიკვიდური აქტივების იმ დონეზე შენარჩუნებას, რაც საჭიროა ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად დროს სხვადასხვა შუეალედში
- იმ გეგმის შენარჩუნებასა და დაფინანსებას, რომელიც შეესაბამება ბანკის სტრატეგიულ მიზნებს
- დივერსიფიცირებული ფინანსური წყაროების შენარჩუნებას ბანკის კრედიტუნარიანობის გასაზრდელად, როგორც ადგილობრივი ისე უცხოური წყაროებიდან ფინანსების მისარებად
- მაღალი ლიკვიდობისა და მაღალხარისხიანი აქტივების შენარჩუნებას
- პროდუქტების ბაზის ცვლილებას დროის შუალედებში არსებული დაფინანსების წყაროების შესაბამისად
- ლიკვიდობის კოეფიეციენტის ყოველდღიურ მონიტორინგს კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
- დროის ნებისმიერ შუალედში აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის მუდმივ მონიტორინგს.

ბანკის ხაზინის ფუნქციებში შედის შემდეგი ვალდებულებები:

- საქართველოს ეროვნული ბანკის ლიკვიდობის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე შესაბამისობა ლიკვიდობის მოთხოვნების იმ მუხლებთან, რომლებიც შედის უცხოურ მსესხებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში
- მენეჯმენტისთვის წარდგენილი ყოველდღიური ანგარიში, მათ შორის მენეჯმენტის ინფორმირება ძირითად ვალუტებში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო) ფულადი სასხსრების მოძრაობის პროგნოზის შესახებ, ასევე ფულის პოზიციისა და საბალანსო უწყისის ცვლილებების შესახებ;
- ლიკვიდური აქტივების მუდმივი კონტროლი / მონიტორინგი;
- დეპოზიტისა და სხვა ვალდებულებების კონცენტრაციის მონიტორინგი;
- ფულადი სახსრების სწრაფად გაზრდის გეგმის შენარჩუნება დაძაბულ სიტუაციებში ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით.

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი პასუხისმგებელია იმაზე, რომ ხაზინამ სათანადოდ მართოს ბანკის ლიკვიდურობა. რისკის მართვის განყოფილება კი პასუხისმგებელია, ამ საქმიანობის გასაკონტროლებლად. ლიკვიდობის პოზიციებთან და მათ მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს დირექტორთა საბჭო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2008 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული ვალდებულებები დარჩენილი საკონტრაქტო ვადის მიხედვით. ცხრილში წარმოდგენილი თანხები არის კონტრაქტით განსაზღვრული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადი სრული სასესხო ვალდებულებების ჩათვლით. ასეთი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადი განსხვავდება საბალანსო უწყისში მოცემული თანხისგან, რადგან საბალანსო თანხა ეყრდნობა დისკონტირებულ ფულადი სახსრების ნაკადს. ბალანსის თარიღისთვის გადახდები უცხოურ ვალუტაში გადმოყვანილია ლარში “სპოტ” კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2009 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:
.

## 25 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2009 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

| ათასი ლარი | მოთხოვნა 1 თვეზე ნაკლები | 1-დან 6 თვემდე | 6- დან 12 თვემდე | 12 თვიდან 5 წლამდე | 5 წელზე ზევით | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვალდებულებები** | | | | | | |
| სხვა ბანკებისთვის გადასახდელები | 5,058 | 6,787 | - | -` | - | 11,845 |
| კლიენტის ანგარიშები | 105,885 | 35,924 | 28,254 | 4,131 | 1,695 | 175,889 |
| სუბორდინირებული სესხი | 55 | - | - | - | 8,430 | 8,485 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 348 | - | - | - | - | 348 |
| მთალიანი სასესხო ვალდებულებები | 20,200 | - | - | - | - | 20,200 |
| გაცემული გარანტიები | 213 | - | - | - | - | 213 |
| **ფინანსურ ვალდებულებებზე მოსალოდნელი მთლიანი გადახდები** | **131,760** | **42,711** | **28,254** | **4,131** | **10,126** | **216,980** |

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2008 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

| ათასი ლარი | მოთხოვნა 1 თვეზე ნაკლები | 1-დან 6 თვემდე | 6- დან 12 თვემდე | 12 თვიდან 5 წლამდე | 5 წელზე ზევით | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვალდებულებები** | | | | | | |
| სხვა ბანკებისთვის გადასახდელები | 1,522 | - | - | 2,731 | - | 4,253 |
| კლიენტის ანგარიშები | 63,451 | 36,939 | 11,814 | 8,093 | 2,284 | 122,581 |
| სუბორდინირებული სესხი | 73 | 364 | 437 | 3,495 | 15,109 | 19,478 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 1,034 | 21,031 | - | - | - | 22,065 |
| მთალიანი სასესხო ვალდებულებები | 26,540 | - | - | - | - | 26,540 |
| გაცემული გარანტიები | 170 | - | - | | - | 170 |
| **ფინანსურ ვალდებულებებზე მოსალოდნელი მთლიანი გადახდები** | **92,790** | **58,334** | **12,251** | **14,319** | **17,393** | **194,917** |

ბანკი არ იყენებს ზემოთ წარმოდგენილ არადისკონტირებულ ვადიანობას ლიკვიდობის სამართავად. სამაგიეროდ, ბანკი ახორციელებს მონიტორინგს მოსალოდნელ ვადიანობაზე და მის შედეგად მიღებული არასაკმარისი ლიკვიდურობა შემდეგში მდგომარეობს:

| ათასი ლარი | მოთხოვნა 1 თვეზე ნაკლები | 1-დან 6 თვემდე | 6- დან 12 თვემდე | 12 თვის ზევით | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **2009 წლის 31 დეკემრისთვის** | | | | | |
| ფინანსური აქტივები | 41,403 | 75,116 | 21,007 | 57,669 | **195,195** |
| ფინანსური ვალდებულებები | 91,347 | 42,711 | 8,254 | 54,256 | **196,566** |
| **წმინდა ლიკვიდურობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობაზე** | **(49,944)** | **32,405** | **12,753** | **3,413** | **(1,371)** |
| **კუმულატური ლიკვიდურობის გეპი მოსალოდნელ ვადიანობაზე** | **(49,944)** | **(17,539)** | **(4,786)** | **(1,373)** | |
| **2008 წლის 31 დეკემრისთვის** | | | | | |
| ფინანსური აქტივები | 44,369 | 47,888 | 15,326 | 42,544 | **150,127** |
| ფინანსური ვალდებულებები | 65,768 | 28,626 | 10,678 | 40,167 | **145,239** |
| **წმინდა ლიკვიდურობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობაზე** | **(21,399)** | **19,262** | **4,648** | **2,377** | **4,888** |
| **კუმულატური ლიკვიდურობის გეპი მოსალოდნელ ვადიანობაზე** | **(21,399)** | **(2,137)** | **2,511** | **4,888** | |

აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა ან კონტროლს დაქვემდებარებული შეუსაბამობა ბანკის მენეჯმენტისათვის უმნიშვნელოვანესია. ბანკებისთვის უჩვეულოა მუდამ დაიცვან შესამაბამისობა, რადგან მიღწეული ბიზნეს ტრანზაქცია ხშირ შემთხვევაში არის გაურკვეველი ვადის და სხვადასხვა ტიპის. შეუსაბამობა პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა ასევე შეიძლება გაზარდოს ზარალის რისკიც. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა და იმის შესაძლებლობა, რომ ვადის ამოწურვისას მოხდეს საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებების ჩანაცვლება მისაღები ხარჯის ფარგლებში, მნიშვნელოვანია ბანკის ლიკვიდურობის და მისი საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსის ცვლილებების მიმართ დამოკიდებულების შესაფასებლად.

## 26. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ბანკის მიზანია დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნები, უზრუნველყოს ბანკის შესაძლებლობა, როგორც მოქმედი ორგანიზაციისა, შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა და მიაღწიოს კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტის არანაკლებ 12 %-ისა. ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტთან შესაბამისობა კონტროლდება ყოველთვიურად და შესაბამის ანგარიშს გამოთვლებით ამოწმებს და ხელს აწერს ბანკის გენერალური დირექტორი და მთავარი ბუღალტერი. ამის შემდეგ ანგარიში წარედგინება ეროვნულ ბანკს.
ბანკებმა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კაპიტალის მოთხოვნების მიხედვით, უნდა შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის რისკ-შეწონილ აქტივებთან ფარდობა დაწესებული მინიმუმის ზემოთ ("საწესდებო კაპიტალის ფარდობა". საზედამხედველო კაპიტალი ეყრდნობა ბანკის იმ ანგარიშებს, რომელიც შედგენილია საქართველოს ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად და მოიცავს:

| *ათასი ლარი* | 2009 | 2008 |
|---|---|---|
| **პირველადი კაპიტალი** | | |
| საწესდებო კაპიტალი | 75,000 | 75,000 |
| დამატებით გადახდილი კაპიტალი | | (485) |
| გაუნაწილებელი მოგება | (11,432) | - |
| მინუს: არამატერიალური აქტივები | (32,172) | (31,958) |
| **სულ პირველადი კაპიტალი** | **31,396** | **42,557** |
| **მეორადი კაპიტალი** | | |
| მიმდინარე წლის ზარალი | (8,315) | (12,386) |
| სუბორდინირებული სესხი | 8,485 | 8,391 |
| **სულ მეორადი კაპიტალი** | **(170)** | **(3,995)** |
| **სულ საზედამხედველო კაპიტალი** | **31,266** | **38,562** |

2009 წლის განმავლობაში და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკმა ვერ შეასრულა კაპიტალთან დაკავშირებული გარკვეული გარე მოთხოვნები, მათ შორის მარეგულირებელი კაპიტალის ადექვატურობის კოეფიციენტი, კოეფიციენტი ერთ აუთსაიდერ მსესხებელზე და კოეფიციენტი დიდი სესხის გაცემაზე. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი მარეგულირებელი მეორე დონის კაპიტალის კოეფიციენტი, რომელიც გამოთვლილი იქნა საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე, შეადგენდა 10%-ს, რომელიც მოთხოვნილ ლიმიტზე – 12%-ზე დაბალია. ამგვარი გარეთან დაკისრებული კაპიტალზე მოთხოვნის შეუსრულებლობას მივყავართ დივიდენდების განაწილებაზე შეზღუდვების დაწესებამდე. ბანკი არ ახდენს დივიდენდების განაწილებას მანამ, სანამ არ დააკმაყოფილებს მარეგულირებელი კაპიტალის მოთხოვნებს. 2009 წლის განმავლობაში და ანგარიშის გამოშვების თარიღამდე ეროვნული ბანკის მიერ არ ყოფილა დაწესებული არავითარი სხვა ჯარიმები, საურავები, თუ სხვა არასახარბიელო ზომები.

თუმცა, საქართველოს ეროვნული ბანკის რეგლამენტის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გამოიყენოს შემდგომი სანქციები, მათ შორის საბანკო ლიცენზიის გაუქმება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მარეგულირებელი 1-ლი დონის კაპიტალი და მთლიანი მარეგულირებელი მე-2 დონის კაპიტალის კოეფიციენტები შესაბამისად 3%-ზე და 5%-ზე დაბალია. წინამდებარე ანგარიშის გამოშვების თარიღისათვის, ამგვარი კოეფიციენტები შესაბამისად იყო 5.3% და 7.5%. მენეჯმენტი არ მოელის, რომ ამგვარი კოეფიციენტები შემდგომში გაუარესდება. შემდგომში, მენეჯმენტს გააჩნია გეგმა, რათა დაუბრუნდეს შესაბამისობის ლიმიტებს 2010 წლის ბოლოსათვის. ამგვარი გეგმის ძირითადი ელემენტი

მოიცავს ვადაგადაცილებული სესხების ამოღებას, აქციონერებისაგან მისაღები ანგარიშების ამოღებას, რათა ამგვარი თანხები გამოყენებული იქნას ბანკთაშორისი სესხების დასაფარავად უმაღლესი განაკვეთით და გაზრდილი საპროცენტო შემოსავლით 2010 წელს.

## 27. დამატებითი გარემოებები და ვალდებულებები

***სასამართლო შემთხვევები.*** დრო და დრო ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში, ბანკის მიმართ ადგილი აქვს საჩივრებს. ბანკის მენეჯმენტი, საკუთარ ანალიზსა და შიდა პროფესიულ კონსულტაციებზე დაყრდნობით თვლის, რომ ამ საჩივრებთან დაკავშირებით ბანკი არანაირ მატერიალურ ზარალს არ მიიღებს და ამისათვის არანაირი რეზერვი არ შექმნილა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად არის ინტერპრეტაციებისა და ცვლილებების საგანი. ბანკის ხელმძღვანელობის მიერ ტრანზაქციებსა და ბანკის საქმიანობაზე ასეთი კანონმდებლობის ინტერპრეტაციის სისწორე შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა რეგიონალურმა და სახელმწიფო ორგანოებმა. საქართველოში მომხდარმა ბოლო ფაქტებმა აჩვენა, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო დამაჯერებლად ახდენენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასა და შეფასებას, და შესაძლებელია, წარსულში განხორციელებული ტრანზექციები და საქმიანობა, რომელთა მართებულება ადრე არ იქნა ეჭვქვეშ დაყენებული, განხილვის საგნად იქცეს. შედეგად, შეიძლება დაწესდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და მათზე დარიცხული პროცენტი. საგადასახადო ორგანოებს გადასახადებთან დაკავშირებული რევიზიის ჩატარება შეუძლიათ განსახილველი ფისკალური პერიოდიდან დაწყებული გავლილი სამი კალენდალური პერიოდის განხილვა. ზოგიერთ შემთხვევებში ამ შემოწმებამ შესაძლოა მოიცვას უფრო მეტი პერიოდიც. ბანკის მენეჯმენტის აზრით შესატყვისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია მართებულია და ბანკის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის პოზიციები შენარჩუნდება. შესაბამისად, 2009 წლის 31 დეკემბრისთვის შესაძლო საგადასახადო ვალდებულებების კუთხით არანაირი რეზერვის გათვალისწინება არ მომხდარა.

***კაპიტალდაბანდებების ვალდებულებები.*** 2009 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკის კაპიტალდაბანდებებთან დაკავშირებული საკონტრაქტო ვალდებულებები შებოა-ნაგებობებსა და დანადგარებთან მიმართებაში.

**კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები.** ამ ინსტრუმენტების ძირითად მიზანს წარმოადგენს ის, რომ კლიენტმა მიიღოს თანხები საჭიროებისამებრ მოთხოვნისთანავე. საგარანტიო წერილები და აკრედიტივები, რომლებიც წარმოადგენენ იმის უპირობო გარანტიას, რომ ბანკი გადაიხდის თანხას იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ვერ შეასრულებს მესამე პირისადმი აღებულ ვალდებულებებს, ატარებენ იგივე საკრედიტო რისკს რასაც სესხები.

## 27 გაუთვალისწინებელი გარემოებები და ვალდებულებები (გაგრძელება)

კრედიტის გამოყოფის ვალდებულებები წარმოადგენენ ავტორიზებული გამოსაყოფი კრედიტის გამოუყენებლ ნაწილს, რომელიც გაიცემა სესხის, გარანტიის ან აკრედიტივის სახით. კრედიტის გამოყოფის ვალდებულებებზე საკრედიტო რისკთან მიმართებაში ბანკის პოტენციური დანაკარგი ტოლია მისი მთლიანი გამოუყენებელი ვალდებულებებისა თუ კი მოხდება გამოუყენებელი თანხების გატანა. თუმცა, დანაკარგის მოსალოდნელი ოდენობა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებებთან შედარებით, რადგან კრედიტის გამოსაყოფად საჭირო ვალდებულებების უმრავლესობა დამოკიდებულია კლიენტების მხრიდან სპეციფიკური საკრედიტო სტანდარტების დაცვაზე და ადეკვატურ უზრუნველყოფაზე. ბანკი ახორციელებს მონიტორინგს საკრედიტო ვადალდებულებების ვადიანობაზე, რადგან გრძელვადიანი ვალდებულებები მოკლევადიანთან შედარებით უფრო დიდი საკრედიტო რისკის მატარებლები არინ. კრედიტთან დაკავშირებული აუთვისებელი ვალდებულებები შედმდეგია:

| *ათასი ლარი* | 2009 | 2008 |
|---|---|---|
| კრდიტის გამოყოფის ვალდებულებები | - | 274 |
| გაუცემელი საკრედიტო ხაზები | 20,200 | 26,096 |
| გაცემული გარანტიები | 213 | 170 |
| **სულ კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები** | **20,413** | **26,540** |

მთლიანი აუთვისებელი საკონტრაქტო ოდენობა გაუცემელი საკრედიტო ხაზების, საგარტიო წერილებისა და აკრედიტივების არ არის აუცილებელი წარმოადგენდეს ნაღდ ფულზე მოთხოვნილებას მომავალში, რადგან შესაძლოა ასეთი ფინანსურ ინსტრუმენტების ვადის ამოწურვა ან შეწყვეტა მათი დაფინანსების გარეშე. კრედიტთან დაკავშირებული

ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება 2009 წლის 31 დეკემბრისთვის იყო ნული. (2008: 0 ლარი)

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები გამოსახულია ვალუტაში შემდეგნაირად:

| *ათასი ლარი* | **2009** | **2008** |
|---|---|---|
| ლარი | 1,211 | 24,305 |
| დოლარი | 18,821 | 1,203 |
| ევრო | 381 | 1,032 |
| სულ | **20,413** | **26,540** |

28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

**(ა) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ამორტიზირებული ღირებულებით**

ამორტიზირებული ღირებულებით ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება მოცემულია ქვემოთ:

| | **2009** | | **2008** | |
|---|---|---|---|---|
| *ათასი ლარი* | სამართლიანი | საბალანსო ღ | სამართლიან | საბალანსო ღ |
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფული და მისი ექვივალენტი | 33,515 | 33,515 | 37,820 | 37,820 |
| სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში | 6,363 | 6,363 | 4,941 | 4,941 |
| *კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები* | | | | |
| კორპორატიული სესხები | 64,142 | 66,490 | 23,059 | 23,947 |
| სალომბარდე სესხები | 39,404 | 41,891 | 37,170 | 36,825 |
| სესხები ფიზიკურ პირებზე –სამომხმარებლო სესხები | 13,373 | 14,744 | 17,444 | 17,625 |
| სესხები ფიზიკურ პირებზე–მეწარმეები | 3,270 | 4,817 | 484 | 501 |
| იპოთეკური სესხები | 9,211 | 9,211 | 5,571 | 5,230 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 18,164 | 18,164 | 22,638 | 22,638 |
| მთლიანი აქტივები ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით. | **187,442** | **195,195** | **149,127** | **149,527** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| სხვა ბანკებისთვის გადასახდელები | 11,845 | 11,845 | 1,815 | 1,815 |
| კლიენტის ანგარიშები | 175,889 | 175,889 | 113,428 | 113,428 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 348 | 348 | 21,605 | 21,605 |
| სუბორდინირებული სესხი | 8,485 | 8,485 | 8,391 | 8,391 |
| მთლიანი ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით. | **196,566** | **196,566** | **145,239** | **145,239** |

**28** ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

***(ბ) სამართლიანი ღირებულების იერარქიით გაკეთებული ანალიზი ფინანსურ ინსტრუმენტებზე სამართლიანი ღირებულებით.***

სავაჭრო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი რირებულება, რომლებიც შედიოდა სხვა ფინანსურ აქტივებში, განისაზღვრება კვოტირებული საბაზრო ფასებით (დონე 1). ვალუტის გაცვლის ფორვარდული ოპერაციების სამართლიანი ღირებულება იმ სასუალებებით, რომლებიც არსებობდა ბაზარზე (დონე 2).

***(გ) სამართლიანი ღირებულებების შესაფასებლად გამოყენებული მეთოდები და ვარაუდები.***

სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა მსურველ მხარეებს შორის მიმდინარე ტრანზაქციისას, გარდა იძულებითი გაყიდვის ან ლიკვიდაციის შემთხვევისა და რაც ნათლად გამოიხატება არსებულ საბაზრო ფასში.
იქ, სადაც კვოტირებული საბაზრო ფასები არ არსებობს, ჯგუფი იყენებდა შეფასების ტექნიკას. გარკვეულ შეფასების ტექნიკა მოითხოვდა ვარაუდებს, რასაც მხარს არ უჭერდა არსებული

საბაზრო მონაცემები. ამგვარ გამოყენებულ ვარაუდებების შეცვლას შესაძლო მიზანშეწონილ ალტერნატივამდე შედეგად არ მოჰყვებოდა მნიშვნელოვანი სხვაობები მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებში.

***სესხები და დებიტორული დავალიანებები ამორტიზებული ღირებულებით.*** ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დადგენა ემყარება სამომავლოდ მისაღებ ფულად სახსრებს, რომელთა მიღებაც ხდება იგივე საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტების არსებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირებით. გამოყენებული დისკონტის კოეფიციენტები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის ვადიანობაზე და დამოკიდებული მხარის საკრედიტო რისკზე. დისკონტის გამოყენებული საშუალო განაკვეთები შემდეგია:

| *% წელიწადში,* | **2009** | **2008** |
|---|---|---|
| *კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები – შენიშვნა 8* | | |
| კორპორატიული სესხები | 22 | 21 |
| სესხები ფიზიკურ პირებზე –სამომხმარებლო სესხები | 27 | 24 |
| სესხები ფიზიკურ პირებზე–მეწარმეები | 32 | 20 |
| იპოთეკური სესხები | 23 | 23 |
| სალომბარდე სესხები | 29 | 27 |

## 29. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

შეფასების მიზნით IAS 39 სტანდარტი ფინანსური ინსტრუმენტები (აღიარება და შეფასება) ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შემდეგ კატეგორიებად: ა) სესხები და დებიტორული დავალიანებები, ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.
2009 წლის 31 დეკემბრისა და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ყველა ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით.

## 30. მხარეებთან დაკავშირებული ტრანზაქციები

ზოგადად მხარეები ითვლებიან ურთიერთდაკავშირებულად, თუ ისინი არიან საერთო მმართველობის ქვეშ ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება ან აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა ურთიერთობის მნიშვნელობას და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

2008 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დავალიანება დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

| | 2009 | | | 2008 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ათასი ლარი* | აქციონერები | მმართველი პერსონალი | სხვა დაკავშირებული მხარეები | აქციონერები | მმართველი პერსონალი | სხვა დაკავშირებული მხარეები |
| სხვა ფინანსური აქტივები | 17,871 | - | - | 21,605 | - | - |
| კლიენტის ანგარიშები (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 2 - 11..5 %) | 74 | 121 | 9 | 2,909 | 365 | 3,153 |

2009 და 2008 წლის დანახარჯები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

| | 2009 | | | 2008 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ათასი ლარი | აქციონერები | მმართველი პერსონალი | სხვა ა დაკავშირებული მხარეები | აქციონერები | მმართველი პერსონალი | სხვა დაკავშირებული მხარეები |
| საპროცენტო ხარჯი | 36 | 9 | 24 | 138 | 7 | 11 |

მენეჯმენტის ანაზღაურება ნაჩვენებია ქვემოთ:

| | 2009 | | 2008 | |
|---|---|---|---|---|
| *ათასი ლარი* | ხარჯი | დარიცხული ვალდებულებები | ხარჯი | დარიცხული ვალდებულებები |
| *მოკლევადიანი სარგებელი:* | | | | |
| - ხელფასები | 375 | - | 366 | - |
| - მოკლევადიანი პრემიები | 23 | - | 14 | - |
| - ნატურით გადახდა | 126 | - | 117 | - |
| **სულ** | **524** | **-** | **497** | **-** |

მოკლევადიანი ბონუსების გადახდის პერიოდია 12 თვე იმ პერიოდის დასრულების შემდეგ, რომელშიც ადგილი აქვს მენეჯმენტის მიერ მომსახურების გაწევას.

31. შემდგომი მოვლენები

2010 წლის 18 მაისს ბანკის მენეჯმენტმა მიიღო ფინანსური დახმარების წერილი თავისი მთავარი აქციონერისაგან, შეიხ ნაჰაიან მაბარაკ ალ ნაჰაიანისაგან. ფინანსური დახმარების ამგვარი წერილი ძალაშია მინიმუმ 12 თვის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებანი დამტკიცებული იქნა გამოსაცემად.

2010 წლის 26 მაისს ბანკმა მიიღო 8 429 000 ლარის ოდენობის (5 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი) ჩარიცხვაზე დასტური, რაც შედაგენს აქციონერებისაგან მისაღები თანხის ნაწილს.